

დ რ ე ტ ე ბ ე

სურათების დამატება

გაცემის № 75.

კვირა, 4 აპრილი 1910 წ.

დამატების № 14

გ ს ხ ვ ე რ პ ლ ი

დრამა 3 მოქმედებად, სოფლის ცხოვრებიდან.

(შემდგენ *1)

ბოჭ. (საქო) გაიგონე რამე, იყო ვინმე? ხალხი მანც როგორ იქცევა?

საქო. ხალხს კიდევ რა სკირს, ბარონ! ლაშირაკებმა, არამზადებმა გააკირეს საქმე. ვინც არა მგონია, მეეთოვევა, აურ-დაურევს სოფელს. ეს ერთობაო, ძირს ისაო, ძირს ესაო... არა, ერთი მიბანან შენი ჭირიმე: ქვეყნის გადაბრუნება რომ აგრე ადვილი იყოს, აქამდის არ გადაბრუნდებოდა?..

ბოჭ. მე ისე გადავაბრუნებ მაგათ, რომ მგონი ერთობა კი არა, თავიანთი სახელიც კი დაავიწყდეთ... მაში კიდევ იყო ვინმე? ამ ორ სამ დღეში ხომ არა-ვინ მოსულა?

საქო. რა მოგახსენო, შენი ჭირი-

კაცები სოფ. ალათემურიდან (ზ. ედილის კოლექციიდან).



ინგილოში ტიპები (ქართველები).

ბოჭ. რა აქაურები? კიდევ არ იშლიან? მგონი

ვიცი. ისიც კი ვიცი, რომ წარსულ კვირას ერთ ჩემ კარგ ნაცნობ მედუქნესთან ისეთი კამპანია ქეიფობდა, რომ... სულ მამალი აგიტატორები იყვნენ... მედუქნეც თურმე ისე უმასპინძლდე-



ინგილოში ტიპები.

ქალები სოფ. კაკილან (ზ. ედილის კოლექციიდან).



ინგილოში ტიპები.

საინგილოში მცხოვრები ლეკები (ზ. ედილის კოლექციიდან).

ბოჭა, რომ ფულიც კი არ გამოართვა. „გაუმარჯოს ერთობასაც“ კი ყვიროდა. ვა, სარქისჯან, არ იცნობ იმ მედუქნეს?

*1 ის. სურათების დამატება № 13.

საქო. (შეგნთება) მე... მე... ვასიაზელსტვო... მაშ რო-
გორ რამე გავიგო, როგორ გამოვკითხო, თუ კი ეგრეც არ
მოვიკევი?

ბოქ. თუ უფრო შიშმა აგიტანა, მაშ რატომ არაფერი
მიაშეე იმაზე?

საქ. შე დალოცვილო, მინდოდა და შენ თითონ და-
მასწარი.

ბოქ. მაშ გიგუა ისევ თავისას არ იშლის ჰა?

საქო. აბა რას მოიშლის, შენი ჭირიმე. მთელი სოფ-
ლის ბძანებელი ის გახდა, ყველას იმისი ეშინიან...

ბოქ. ცოლი როგორლა ჰყავს. ლამაზი გოგოა, არა?

საქო. ვააა, კნიაზჯან, ანტიკაა რალა, ბროწეულია,
ბროწეული!

ბოქ. შენც მოვწონს განა?.. ის რალას ჩადის ის...
რა ჰქვიან?

საქო. ვანუა? ეჭ, რალას იზამს, გოგო ცხვირ წინ ააცა-
ლეს და დაღის ეხლა წელმოწყვეტილი... ისიც კი ცოტა
ერთობისკენ მიიწევს... მაგრამ ღმერთის მადლმა ჩუმი ბიჭი
კია... ვასიაზელსტვო... ე ყაზახები ზეკუციათ ხომ არ მოი-
ყვანეთ... არ ვიცი, ისეთი კი არა მამხდარა ჩვენში და...

ბოქ. ვითომ არა გავიგონია-რა?

საქო. კნიაზის მხემ, არა ვიცი-რა.

ბოქ. ჰო, მაშ მალე გაიგებ. (დახედავს საათის) მე იქ
თავად ნიკოსთან წავალ. ხალხი შეიკრიფება. მამასახლის უთ-
ხარი შემატყობინოს. აბა შენ იცი, კარგი თევზი და ღვი-
ნო... იქ გამოგზავნე... (ადგება)

საქო. ამ ნიმუში მოგარომევ, შენი ჭირიმე... (ბოქაუ-
ლი მიდის), ვა, საქუა შპიონობსო... აბა დახე, ი კამპანიაზე
ნერა ვინ შეატყობინა? ხათაბალაა, ღმერთის მადლმა... მო-
ლი და ნუ შეუშვებ ღუქანში თითოს ისეთი მაუზერი ეკი-
და, პატრიონა იმდენი ჰქონდა, რომ ტანისამოსიც არ უჩანდა.
ვინ იცის, ჯიბებიც ბომბებითა ჰქონდა სამსე... არა, აბა
ნუ შეუშვებ!.. შეუშვებ და ახლა პოლიცია დაგაწვება კი-
სერზე... ორ ცეცხლშუა ხარ. ღმერთმა დასწევლოს ერთო-
ბაც და იმისი მომგონიც. (შემოდის მამასახლისი). **ნაცვალი**
და რამდენიმე გლეხი... ხალხი თან და თან უფეხლ მხრიდან
იკრიფება)

მამ. (ნაცვალი) ნიკოლი, მაშ შენ ყაზახებთან წალი,
როგორც გითხარი... ქვემო უბანზე გაივლი, დააჩქარე ხალ-
ხი, სელ წამოვიდეს დიღიან პატარიანად, აბა, შენ იცი,
ჩქარა! (ნაცვალი მიდის) საქო! რა იქნა...

საქო. კნიაზთან წავიდა, ხალხი რომ შეიკრიფება, მამა-
სახლის უთხარიო შემატყობინოსო. (მამასახლის) მობანდი
მამასახლისო, ი აქ ჩრდილში. ე ჩემი ბიჭი დავკარგე, ის
არამზადა, ნერა აქამდის სად დეეხეტება! (მამასახლისი დეე-
ფენში ხამაჯდება, გლეხებიც ზოგი მიწაზე დაჯდება, ზოგი ფეხ-
ზე სდგას. შემოდის სციმონა, ვანო, გაბუა. მათ მოსდევს
10—15 კაცი. აღელვება ეშჩნევა უკერას. ბევრია მათგანი მამა.
სახლის მიესალმებიან, ზოგი საქოს დაუძახებს: „საქოს გაუმარ-
ჯოს!“ საქუაც უპასუხებს: „გადღევებელათ დმერთმა“).

სციმონ. (მამასახლის) მამასახლისო, რა ამბავია? რაზე
დაგვაფეოთიანეს? კალოებს თავი გავანებეთ. ამითანა დროს
კაცს მოაცდენენ განა?!

მამ. ერთი შენც, მოპყები, თუ ღმერთი გწამს! ვე-
რა ხელამ, ჯარი კარზე მოგვადგა,—შენც-კი კალოზე
ფრქრობ.

გაბო. არ შეიძლება გავიგოთ, რაშია საქმე. რა ვიცი,
მგონი. ჩვენ ისეთი არა ჩაგვიდენია რა და არც არა მომხდა-
რა ისეთი. (ბევრი ამზადს: „გავიგოთ ხალხნა, ასშია საქმე.
ესაზე არ არა უნდა მოვიდას“)

მამ. ადამიანებო, ჯერ მეც არ ვიცი, რაშია საქმე.

მიბძანა პრისტავმა, ხალხი შეჰყარეო და შემატყობინება, მამხდარი-
ცა მოგროვდებიანი: (ხალხი თან და თან მატულობს).

საქო. რა იქნება, კაცო, ისეთი რა უნდა მომხდარი-
ცო!? ე ნელიმების ასგროვებლად თუ მოვიდნენ? ან ვინ
იცის ღალებს მოგვთხოვენ?

მამ. აბა მოდით, მოდით. (ფანტს) გიგუა არა სჩანს, შენი
ნათლიმამა.

განო. იქ იყო ნალბანდებთან... აგე მოდის კილეც
(შემოდის გიგუა, თან თამდენიმე ახალგაზღიულები).

მამ. პოვერნიები აქ არიან? ი პისერი რალა იქნა?
(სეიმონს) სიმონი, შენ გარდას, გაიქე ე მანდ კანცელა.
რიასთან იქნება პისერი. უთხარ, ჩქარა წამოდითქო. (სეიმო-
ნს გადის) აბა ყველანი მოვიდნენ? (სეიმონს და მწერალა შე-
მოვლენ. მწერალა) არიქა გრიგოლ, პრისტავი კნიაზთანაა და
გაიქე, შეატყობინე, ხალხი შეიკრიბა-თქო! (მწერალი გადის).

გიგო. მამასახლისო! არ შეიძლება კრებას გააცნოთ,
რაშია საქმე? რისთვის შევვყარეთ აქა? პრისტავი უნდა მო-
ვიდესო, ეს ხომ ვიცით, რომ პრისტავი კარგს არას გვეტ-
ყის, და მაინც სჯობს წინადვე ვიცოდეთ, რაშია საქმე,
რომ პასუხი გავცეთ.

მამ. ადამიანო, მეც არა ვიცი-რა და რა შეგატყობი-
ნო. მითხარა, შეჰყარეო ხალხი და მეც შევყარე.

განო. რა გალაპარაკებთ, ვერ გამიგია: მოვა პრისტავი
და ყველაფერს შევიტყობთ. თითო რაზედე თავზარი და-
გეცემათ ხოლმე. ჩვენ ისეთი არა ჩაგვიღენია-რა...

გიგო. შენც დაიწყებ ხოლმე ლაპარაკს, ი სწორედ
რომ იმისთვის, რო არა ჩაგვიდენია რა, ალბად მიზეზს ეძე-
ბენ. ეს ხომ კარგი ვიცით ჩვენში, ძილებიც არიან. დას-
მენდა ვინმე, მოგვიგონებდენ რასმეს...

მამ. დაიცა, ადამიანო, რა დროს ეგეებია! ვინ იცის,
დღეს რა მოგველის. (შემოვარდება თრია-სამი ბიჭი და შაქრო)

შაქრო. პრისტავი ტრაუნიკებით აქ მოდის! (უგელანი
წამოდგებიან, ზოგი ქუდის იძღის).

მამ. (გიგუას) თუ ღმერთი გწამს, გიგო, წყარიად იყა-
ვი, ნუ დაიწყებ შენებურად. ერთი რამ წამოგცება და...
(შემოვა ბოქაული. თან ასლებს 5—6 სტრაუნიგი და მწერალი
სოფლისი. უელანი მიესალმებიან. ხალხი შეჰყარებება: მამასა-
ხლისი, გაბუა, განო, საქ წინ წამიდგებიან, გიგუა ხალხის უგან
დარჩება. გიგუას სახლის კარგი გაიღება და კარგბში ნატო გა-
მოხადება. ბანებზეაც დედაკაცების პატარ-პატარ ჯგუფები).

ბოქ. გაგიმარჯოთ... მამასახლისო, ხალხი მოლად
მოაქუჩი?

მამ. დიახ, შენი ჭირიმე...

ბოქ. აბა, ახლა დამიგდეთ ყური. კარგი და გაიგონეთ,
რასაც გეტვით. მე ბევრს გიფთხილდებოდით, ბევრიც რამ
მიპატივებია თქვენთვის... ყოფილი ისეთი შემოგვევები,
რომ შემეძლო თქვენთვის ტყავიც კი გამეძრო. მაგრამ მებ-
რალებოდით... (იმისი ხემი: „დამერთმა გადღებელებს“. „მუ-
და ჩვენი წესი წესი იყავი!“)

ბოქაული. (შეტევით) გაკმინდეთ ხმა... ეხლა თქვენ
ისეთი საქმე ჩაიდინეთ, რომ მიწასახლები გასასტორებელი
ხართ, და მეც შესაფერად მოგივლით!

გაბო. ბატონო, რა იყო შენი ჭირიმე, ისეთი რა ჩა-
გვიღენია?

ბოქ. (ხმა მაღლა) არა, როდი, შენმა თავის გახეთქაშ
ვითომ არც კი იცით რალა... გუშინ საღმოთი, ჭალის ბო-
ლოში, თეთრ წყარისთან, თქვენი სოფლის გზაზე მოუკ-
ლავთ ჩემი სტრაუნიკი. დასასვენებლათ ცხენიდან-ჩამოსულა,
ილბად დასძინებია, მიკპარვია გაღაც თხერი და ხანჯლით
ყელი გამოუჭრია. კვალი ერთი კაცისაა, და ჩვენ უკავ-
ცნობა გვაძეს და ვიცით კიდეც, რომ მკვლელი აქაურია,

ერთი თქვენთაგანია. ამაში ჩვენ დარწმუნებული ვართ. მე ბძანება მომივიდა და გიცხადებთ: მკვლელი თქვენშია. გაძლ ევთ ორ საათს ვადას: მკვლელი უნდა მომცეო ხელში, და თუ გაპეტავთ და არ აასრულებთ, ჯარი ხომ დაინახეთ და მეც კარგათ მიცნობთ, მიწასთან გაგასწორებთ! სულ ამოგელეტავთ. არც ეგზერუცია, არც არაფერი ქვეს-ქვაზე არ დავარჩენ, ცოცხალს რავის გაგიშვებთ... სოფლიდან ფეხი არავინ მოიცვალოს.. ბრძანება, გავეცი, თუ ვინმე სოფლიდან გავიდა, იქვე გააგორონ... ეს იკოდეთ. ორი საათის შემდეგ მე მოვალ და მკვლელი უნდა ჩამაბაროთ, თუ არა და... (მათნახს უქნევს) ხვალინდელი დღის გათენების იმედი ნუ გექნებათ! (გაბრუნდება და მიდის).

გაბო. (წინ წამოდგება) ბატონიშვილი, მოითმინე, შენი ჭირიმე. (ბოქაული მობრუნდება) აბა ხომ კარგათ მიცნობ, რაცა ვარ! ღმერთმა აცხონოს, მამითქვენის ხელში გავიზარდე, თქვენი ყმა ვაყავი. ჩემი ხნის კაცს სიზმარსაც დაუჯერდებენ. აი, ამ ჩემ უბედურ თავს გაძლევ თავდებათ და დავის ფიცამ წმრნდა გიორგის, უფლის მაღლმა, ეგ ჩვენი ცოდო არ არის. სახარებაზე დავიფრუამ, ჩვენგანი არავინ იქნება. ბატონი, გვიშველე, ნუ დაგვლუპამ... შენ ჩვენი ხარ, ჩვენი ბატონიშვილი... არა ვიცით რა, გაგონითაც კი არ გავაგონია ეგ საშინელი საქმე... ბატონი, შენი ჭირიმე...

ბოკ. (განრისხებული) რას მიედებ-მოედები, დაბერებულხარ, კეუა შეგშლია!.. შენც აჲყევი განა სხვებს! აბა რასა როშე? ხომ გაიგე, რაცა ვთქვია.. მკვლელი უნდა ჩამაბაროთ, თორემ... თორემ პირველს შენ მოვკიდებ ხელს! (გაბრუნდება და წავა. სტრანიები მისდევენ. ხალხი გაჩუმებულია. რამდენსმე ხაბიჯს გადასდგამს ბოქაული და მთებრუნდება ხალხს) ორი საათი, გაიგეთ. ღმერთს მაღლობა შესწირეთ, რომ ვადას გაძლევთ, და აბა ნუ გამოგიჩნიათ!. (გავა სტრანიებით. ცოტა ხანს სიჩქმეა).

მამას. აბა რას იტყვით, ხალხო? როგორ მოვიქცეთ?

სეიმონ. აბა რაღა გვეთქმის... თავზარი დაგვეცა... ვერც კი რა მომიტიქრებია. უბედურება კარს მოვგადგა. სულ დავილუპებით, დავიქცევით. ნეტა გაგვეკეთებინოს რამე...

საქუა. ვა, კაცო, გაგონილი ასეთი ამზავი? გინდა თუ არა მკვლელი მიპოვეო. სუფსარქისის მაღლმა, ჩემ დღეში ამისთანა საქმე არ გამოგონია!

ბასილა. ახლა ბევრიც რომ თავში ვიცემოთ, ჩაინც ვერას გავხდებით. ვერ გამიგია, ეს ხალხი რას გაჩუმებულა, ან ვეირიეთ რამე, ან დაგვარიგეთ. რა ვიცი, სხვა დროს ბევრი ლაპარაკიც და ტრაბახიც გავიგონია, და ახლა კი უველა გაჩუმებულია. (გადასება) თქვით მაინც არა, ხალხი! თქვენ უფრო შეგნებული ხართ, დარიგება მაინც მოვცეცით...

მამას. გიგუავ, შენ რას იტყვი, როგორ გვირჩევ?

გიგო. მე რას გეტყვით... ერთ დალრიალებაზე გულები დაგისქუათ, სულ დაიბიუთ. აბა, ახლა რაღა მეოქმის. რა ვიცი, როცა არ მინდა უველა იმასა უვიროდა: „ერთობისთვის თავს დავდებო, საერთო საქმისთვის არა დავზოგამთო, და აი მოვიდა დრო... გამოიჩინეთ თავი. თუ დაშინებით და მათრახის ქნევით ასე დაგაბნიერეს, საქმეზე რო მიგა, მაშინ რაღას იქთ, „ამზელეტამთო, ამოგწყვეტამთო!..“ სულ ტყუილი დაშინება... ბევრი ბევრი ზეგუცია ჩაგვიყენონ. და ან თუნდაც აგრე არ იყოს, ვის დაადებთ ხელს? ხომ არ იცით, ვინ მოჰკლა, ვინ ჩაიდინა ეგ საქმე?.. კიდეც რო გინდოდეო, ვინ უნდა გისცეთ! არაფრისაც არ უნდა გვეშინოდეს. დევე, დაგვხოცონ, ამოგვულიტონ; დალუპეა, ერთო დავილუპნეთ!

მწერალი. ხალხი, ნუ კი დაგავიშუდებათ, რომ პრისტავის ბძანება აქვს, როგორიც უნდა ზომები მიიღოს და მკვლელი კი უსათუოთ აღმოაჩინოს. მე ჩემის თვალით დავინახე, ყაზახებს ორი ზარბაზანი მოჰკლათ, სტრანიკივებიც ლაპარაკობდნენ, სულ მთლად გავანადგურებთ სოფელსაო...

გიგო. (მწერალი) მაშ რას გვიბანება, ბატონი მწერალი, კიზე ვაჩვენოთ, ვის დაგადოთ ხელი? ჩვენ სხვა არა ფერი შეგვარჩენია, რომ უველა საერთოდ გავცეთ პასუხი.

გაბო. შენ მაინც შენსა გინძახი—საერთო საქმეო. რა საერთო საქმეა, ერთი მითხარი? ვიღაც უღმერთოს, ჩვენი სულის დამლევს, კაცი მოუკლამ. ან რას გვიმლიდა ი ვი-

ღაც სტრაუნივი იყო, ან რას გვიკეთებდა!.. საერთო საქმეო. რა საერთო საქმეა ეს? ჩვენ განვიძრახეთ იმისი მოკვლელი? ჩვენ დავარიგეთ? მაინც იმ თავითვე არივ-დარია ხალხი, აღარც უფროსი, აღარც უნცროსი, არც მღვდელიო, არც ბატონიო, არც ისაო, არც ესაო... სულ ძირს და ძირსაო. ეს ოხერი აკი ჩვენვე ისე დავეცით ძირს, რომ ადგომაც აღარ შეგვიძლია... ღმერთი არ არიო, თავისუფლებათ... კაი თავისუფლება მივიღეთ აი! კაცო, რაც მამაპაპით დადებული იყო, ის არ ვაინდაო. თქვენ დაბერდითო, აღარა გესმითარია... აპა, ესეც შენი ახალგაზლობა! აბა ერთი თუ შეგიძლიანთ, ახლა გვიშველეთ! ერთი მითხარით, რისთვის უნდა დაიღუპოს მთელი სოფელი? რა შუაში ვართ ჩვენ კაცის კვლაში? ცოდო, და მერე რა ცოდო, ჯოჯონეთშიაც ვერ მოვისვენებ მაშინ...

გიგო. მე მოხუცს ისე აქვს გამჯდარი ძველი რევამის სენი, რომ ვერას ჩაგვინებთ. აღარათ, ენანება ძველი ბატონ-ყმობას მათრახები... და იმიტომაც ბძანებს მაგრე...

განო. კაცი გიგო, რა დროს ეგარი, რას ამბობ...

გიგო. (უგირის) ხულიგანია და იმას ვამბობ...

მამ. ჩუმათ! რას შეგრძინოთ, რას ჩადიხართ, რა ღმერთი გაგიშურათ? აქ ჩვენ არ ვიცით, რა ვქნათ, თქვენ-კი ახლა ჩხერი უნდა ასტეხოთ. სოფელს გაეცით პასუხი, სოფელს...

გაბო. მე სახებარი არა მაქვსრა. ღმერთი დაგვავიშუდა და ახლა ის პასუხსა გვთხოვს...

საქ. აი, ეს მართალია, ღმერთის მაღლმა, მართალია!.. გიგო. აი, მეორე ხულიგანიც მიექომაგა...

საქ. ე—ე, განხე მოდი, გიგოჯან, მე რა დაგიშავე... მე რა ხულიგანი ვარ, ვა...

გიგო. ხულიგანიცა ხარ და შპიონიცა...

საქო. (ხმა მაღლა) ვა, გააჩუმეთ რაღა... ხალხი არა ხართ. ვა, ეს რა ხათაბალაა... ერთმა კაცმა ისე დაგაშინათ, რომ ხმასაც ვერ იღებთ.

გიგო. (იწევს იმისებენ) მე დაგაშინებ, შე ღიპიანო! (ხალხი ფერს, ასტედება ხმაურობა: „კაცო, დადექმით, რა ღრმა ეგა?“ „ეგბლა გეგადია!“).

მამ. გააჩუმდით, ხალხი, რა ღმერთი გაგიშურათ?

საქო. (უგირის) ვა, გამლანძლა, აბიდა მომცა, და აღარც კაცო ვასთევა...

მამ. საქოჯან, შენ ხო კაცი ხარ, კაცო, ცოტა ხანს დაშვიდიდა. აბა რა დროს ეგებია! (ხმა მაღლა) კარგით, განჩუმდით... (ხიხემე ჩაშფარდება) ხალხი, მაინც რა უთხრთ პრისტავს, რა პასუხი მივცეთ.

განო. მე ამას ვიტყვი... როგორც აი გაბუამა სოქვა, მეც ვიტყვი, ამ კალელობაში არაფრიდი საერთო არა გვაქს-რა. ჩვენ არც ვიცით, რათ მოჰკლეს ის კაცი, ვინ მოჰკლა, და არც უნდა ვდიოთ მაგას, რა ჩვენი საქმეა... ისიც უნდა ვსოდეა, რა როგორც ილაპარაკა აქ გიგუამ, საერთო საქმეში, ჰაი, ჰაი საერთოთ უნდა გაეცეთ პასუხი... და ისეც უნდა მოვიქცეთ, რომ ამნაირ პასუხის გებამ საგაისოთაც გვარგოს რამე, და გამოგვადგეს. ეხლა მე გიოთხამთ, რა სარფას მოგცემს, რომ მთელი სოფელი დაიღუპოს? ამოვიულიტებით, დაეიხოცებით, და მერე საერთო საქმეს რას მიუმატებოთ? ვთქვათ, დაუჯეროთ გიგუამ, საერთო საქმეს რას მიუმატებოთ? ვთქვათ, დაუჯეროთ გიგუამ, მარტო ზეკუციას ჩაგვიყენებენ. ახლა როგორა გვონიათ, მაგიოთ გათავდება საქმე?.. არა, ეს იცოდეთ, რომ ერთი ათიოდე კაცი მაინც დაიქერენ... ვანოც კი ცოტათი შემოულია, დაიკერენ, და ხომ იცით, რა მოელის იმათ... მაშ, სოფელი ცალკე დაიღუპება და განადგურდება, ეს ათი თუ თხუთმეტი კაცი ხომ, რა თქმა უნდა, დაიღუპება და დაიღუპება... და თუ აგრეა საქმე, არა სჯობია ერთი კაცი დაგვეკარგოს...

გიგო. ვინ იქნება ის ერთი კაცი, ვის დაადებ ხელს, ვის გასწირამ?


განო. ვინც საერთო საქმისთვის თავდადებულია... ეს ხომ ვიცით, უნდა შევწიროთ ვინმე. დევე, ერთი კაცი დაიღუპოს და სოფელი იაღარისება... აი, გამოვერჩიოთ, ვინც უფრო შეგნებულია, ვისაც ხალხისთვისთვის თავ დადება ბიჭობად მიაჩინია. თუ ბიჭობაა, ეხლა უნდა გამოგიჩინოთ... ერთი ათი თხუთმეტი ბიჭი მიაჩინც ვანოც გამოიიჩევა ჩვენში მაგნაირი, ვყაროთ წილი და ვისაც ერგოს, ის იყოს.



ზოგიერთი ჩართვის სტუდიის (მღერის). დედამ რომ შვილი გაზარდოს, ემაგრე ჩემისთანაო... .

მიხე. აი, ბიჭიბაც ასეთი უნდა, აი, გიშველა ღმერთმა ვანუა ცუდს რას იტყვის. აბა, ბიჭებო, გამოდით... გაუმარჯოს ერთობას...

გაბო. (მიხეს) დაიცა ნუსულელობ, თუ ღმერთი გწამს!.. (ფანას) ვიცი, ვანი, შენ სუ სხვანარი ბიჭი ხარ... ვერც ბიჭიბაში, ვერც ჭკუაში და ვერც პატიოსნობაში ვერავინ გაჯობებს... ვიცი, რომ, თუ საქმე მოითხოვს, სიკვდილსაც არ გაექცევი. მარამ აი მე მოხუცი ვარ, მართალია, აქ სულელათ გამომიყვანეს, მაგრამ დამიგდე ყური... მე ძველი დროის კაცი ვარ, თქვენი ერთობისა და ამნაირებისა არა მესმის რა, ოღონდ ამას კი გეტყვი: მე მჯერა, რომ ათი-თხუთმეტი კაცი კი არა, იქნება ოცხე მეტიც გამოჩნდეს



გრ. რობარიძე (ქართ. თეატრის კასიონს). თუ შეიძლება, მიბოძეთ ჩემი ლექციის შემსავალი.

კ ა ს ს ი რ ი. აი, ბატონო, ინებეთ „ვეფხის-ტყაოსნის“ ერთი ტაეპი. თქვენ არა ბრძანეთ, რუსთაველის ერთი ტაეპი მირჩევინ მთელ მამულსა და ქონებასაო.

გრ. რობარიძე.?????



გზა სიარულმა დალია, სიპი ქვა წყალთა დენამა, ლამაზი ახალგაზრდანი ერთმანეთისა ცეკვამა, სახელ-განთქმული ი. შლინგი კარიკატურის წერამა.

ჩვენში თავგანწირული ბიჭი, და თუ არ გამოჩნდებოდეს, მე, აი ეს გადაყრუებული, გადაბერებული გაბუა, მოგიდგებოდი წილში. მაგრამ სოფელს რაღა პასუხს აძლევ, რო მაგისთანა უმანკო სისხლს ადებ ვალათ?.. განა ეგ დაღუპვაზე უარესი არ არის? ჩვენ, ჩვენის ხელით უნდა მივცეთ უმანკო, უდანაშაულო კაცი მსხვერპლად. ღმერთს ან ხალხს რაღა პასუხი უნდა გავცეთ?.. განა როდისე სააქაოს ინ საიქაოს მოგვეტვება მაგვერი ცოდი?.. საშეილიშვილოთ წავწყდებით... არა, მაგ ვალს ჩვენ ვერ ავიღებთ, და ვერც შენ გვაკისრებინებ...

გიგო. მე ამას ვიტყვი კიდევ, ეს ხომ კარგათ ვიცით, რასაც აქ ვლაპარაკობთ, ყველაფერს დაასმენენ პოლიციას. ეს არა ერთხელ მომხდარა, და რომ გაიგებს პოლიცია ჩვენს განზრახვას ის კაცი, ვისაც წილი ერგება, ხომ დაიღუპება და დაიღუპება, ჩვენც უბედურობა არ აგვიღება; მაშინ ხომ პირდაპირ იტყვიან, რომ მკვლელობაც და ეს ყველაფერი საერთო განზრახვით მოუხდენიათო...

სფომ. აი ეგიც მართალია, რჯულის მაღლმა! რა უბედურობაა, ისე გადაატრიალებ თუ ასე, მაინც ვერაფერი ვერ გამოდის...

ი. გედევანიშვილი.

(შემდეგი იქნება)

